


# მუნიციპალური ანაიჯ-ებსა და შპს-ებში დასაქმებულთა თანამშრომლები და შრომის ანაზღაურების ხარჯები



Supported by  
**Luminate**  
Building stronger societies



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

---

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate -ის პოზიციას.

## შინაარსი

ძირითადი მიგნებები .....	4
შესავალი .....	5
მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.....	6
მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა) .....	8
მუნიციპალური ა(ა)იპ-ების სახელფასო ფონდები (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა) .....	10
თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები .....	11
მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.....	13
მუნიციპალურ შპს-ებში დასაქმებულთა რაოდენობა (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა) .....	15
მუნიციპალური შპს-ების სახელფასო ფონდები (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა) .....	16
თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ები .....	18
მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების და შპს-ების სამტატო ნუსხების ანალიზი.....	19
დასკვნა .....	27

## ძირითადი მიგნებები

- 35 მუნიციპალიტეტის მონაცემების მიხედვით, მათ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 5%-ით იზრდება.
- შესწავლილი მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების სახელფასო ფონდების საერთო მოცულობა ყოველწლიურად დაახლოებით 14%-ით იზრდება.
- ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულია 1,000 მდე თანამშრომელი, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მხოლოდ 8,800 პირს შეადგენს.
- 2019-2020 წლებში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები თითქმის 4,000 პირს ასაქმებდნენ. ამ თვალსაზრისით ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება რუსთავის მაჩვენებელს, ხოლო სამჯერ აღემატება გორის მაჩვენებელს.
- 2020 წელს, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იპ-ების საერთო ბიუჯეტი 263,296,876 ლარს შეადგენდა. სადაც დასაქმებული იყო 3,942 პირი, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე გაწეული საერთო ხარჯი 30 მილიონ ლარს აღწევდა.
- კვლევის ფარგლებში შესწავლილი 10 უმსხვილესი მუნიციპალური საწარმოს (თბილისის გარდა) შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2019 წელს 18,284,225 ლარს შეადგენდა. მათი უმრავლესობა წაგებაზე მუშაობს და მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდირდება.
- ყველაზე მაღალანაზღაურებადი ბუღალტრები, საქმისმწარმოებლები და შესყიდვების სპეციალისტები ძირითადად თბილისის ა(ა)იპ-ებში გვხვდებიან, სადაც მათი საშუალო ანაზღაურება დაახლოებით ორჯერ აღემატება ნებისმიერ სხვა მუნიციპალიტეტში ანალოგიურ პოზიციაზე დასაქმებულთა მაჩვენებელს;
- შესწავლილი ა(ა)იპ-ების 12 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ხელმძღვანელიდან ყველა დასაქმებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში და მათი ანაზღაურება 3000-იდან 6000 ლარამდე მერყეობს.

## შესავალი

ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებულ იურიდიულ პირებში მიმდინარე პროცესების შესახებ არაერთი კვლევა ჩატარებულა, რომლებიც ბიუროკრატიული აპარატის გამოწვევებზე მიუთითებენ.

მუნიციპალიტეტები აფუძნებენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს, და მათზე ახდენენ ფუნქციების დელეგირებას სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის: კომუნალური სერვისები, ტურიზმი და ძეგლთა დაცვა, სპორტი და კულტურა, სკოლამდელი აღზრდა და ა.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველ ერთეულებს თავიანთი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვთ შექმნან გაერთიანება ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. დაარსებული იურიდიული პირის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი/მერი. ა(ა)იპ-ის სტრუქტურის, საშტატო განრიგის და ხელფასის ოდენობის განსაზღვრა ასევე მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის კომპეტენციას წარმოადგენს. აღნიშნული პროცესის სპეციფიკა და კრიტერიუმები კანონმდებლობაში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც აჩენს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური განკარგვის რისკებს.

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სრულფასოვან კვლევას მნიშვნელოვნად ართულებს საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების სიმწირე. ამ კუთხით არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდებინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2017 წელს შექმნილ ელექტრონულ პორტალს „ბიუჯეტის მონიტორი“, სადაც გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტების იურიდიული პირების და იქ დასაქმებული თანამშრომლების შესახებ რაოდენობრივი მაჩვენებლების ყოველწლიური განახლება. სამწუხაროდ, ამ მონაცემების პორტალზე თანმიმდევრული განთავსება მნიშვნელოვანი შეფერხებით მიმდინარეობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ვებგვერდზე არ არის განახლებული მთელი რიგი მუნიციპალიტეტების მონაცემები.

მუნიციპალური ა(ა)იპ-ების შესახებ ერთიანი სტატისტიკა რეგულარულად არ იწარმოება. ბოლო მსგავსი მონაცემები ხელმისაწვდომია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში „მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2014-2015 წლებში განხორციელებული აუდიტების შესახებ“<sup>1</sup>. აღსანიშნავია რომ აუდიტის ანგარიშში გამოკვეთილია არაერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება. კერძოდ, მუნიციპალიტეტების მიერ გაცემულ სუბსიდიებზე კონტროლის მექანიზმების არ არსებობა, ა(ა)იპ-ებში საშტატო რიცხოვნობის დაუსაბუთებელი ზრდა და თავად ა(ა)იპ-ების დაუსაბუთებლად დაფუძნების შემთხვევები. სამწუხაროდ, ამ ქრილში განახლებული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

ასევე, გაუმჭვირვალე და ბუნდოვანია მუნიციპალიტეტების მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (შპს) დაფუძნების პრაქტიკა, ამ სფეროს

<sup>1</sup> <https://sao.ge/Uploads/2019/11/adgilobrivi-2014-2015.pdf>


მარეგულირებელი დოკუმენტი გახლავთ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, რომელშიც დაკონკრეტებულია იმ საწარმოების ორგანიზაციული მოწყობა, რომელშიც სახელმწიფო 50%-ზე მეტ წილს ფლობს. კანონმდებლობაში არ გვხვდება ჩანაწერი, რომელიც მუნიციპალიტეტს უსაზღვრავს შპს-ის შექმნის საფუძვლებს და აუცილებელ პირობებს.

ამ სფეროში უახლესი ტენდენციების შესწავლის მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს მასშტაბით 64 მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვა მათ მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი, თითოეულში დასაქმებული თანამშრომელთა რაოდენობა და 2018-2020 წლებში შრომის ანაზღაურების ფონდის წლიური ოდენობა. დამატებით, ინსტიტუტმა გამოითხოვა 2020 წლის მდგომარეობით, ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში მოქმედი სამტატო ნუსხები, თანამდებობის, სამტატო რაოდენობისა და ანაზღაურების მითითებით.


აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში არასრულად იყო მოცემული, რამაც საგრძნობლად გაართულა ანალიზის და შედარების პროცესი. 2018 წლის მონაცემები მიღებულია 37 მუნიციპალიტეტიდან, 2019 წლის მონაცემები 47 მუნიციპალიტეტიდან, ხოლო 2020 წლის მონაცემები ჯამში 48 მუნიციპალიტეტიდან. რაც შეეხება იურიდიული პირების სამტატო ნუსხებს, ეს პუნქტი დააკმაყოფილა მხოლოდ 35-მა მუნიციპალიტეტმა.

## **მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები**

2020 წელს, გამოკვლეული 48 მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში 524 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ფიქსირდება. აღნიშნული უწყებების უმრავლესობას შეადგენს სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის სპორტული გაერთიანებები, სპორტული სკოლები, სპორტული კლუბები, მუსიკალური სკოლები, თეატრალური სკოლები, სამხატვრო სკოლები და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები. მრავლად გვხვდება ეგრეთ წოდებული „კულტურის სახლები“ და კულტურული გაერთიანებებიც. ეს ა(ა)იპ-ები სხვადასხვა ფუნქციებს მოიცავენ, მათ შორის საგანმანათლებლო, ტურისტულ და სამუზეუმო. ხშირ შემთხვევაში ასევე მოიცავენ ბიბლიოთეკებს, საცეკვაო ანსამბლებს და მუსიკალურ ჯგუფებს. გარდა ამისა, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში გვხვდება სკოლამდელი საადმინისტრაციო დაწესებულებების გაერთიანებები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები.



გრაფიკზე წარმოდგენილია 15 მუნიციპალიტეტი (თბილისის გარდა), რომლებიც გამოირჩეოდნენ ა(ა)იპ-ების ყველაზე დიდი რაოდენობით. სამტრედიის მუნიციპალიტეტში გვხვდება 22 ერთეული ა(ა)იპ-ი, ხოლო ოზურგეთში, საჩხერეში, ფოთში, ხონში, თელავსა და ცაგერში 15 ან მეტი ა(ა)იპ-ი.



## მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა)


35 მუნიციპალიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით, მათ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 5%-ით იზრდება. 2020 წელს, გასულ წელთან შედარებით, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 32,539-დან 34,040-მდე გაიზარდა. შტატები საგრძნობლად გაზრდილია რუსთავში, გორსა და ფოთში. ასევე, აღსანიშნავია ცაგერის მუნიციპალიტეტის შემთხვევა, რომლის მოსახლეობა 8,800 პირს შეადგენს, ხოლო მათგან 1,000-მდე პირი, დასაქმებულია ცაგერის სხვადასხვა ა(ა)იპებში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები	2020 წლის გეგმა	
	მომუშავეთა რიცხოვნობა	სულ შრომის წლიური ანაზღაურება
სკოლამდელი და სკოლისგარეშე საადმინისტრაციო დაწესებულებათა სამსახური	217	573,180
ცაგერის სამუსიკო სკოლა	14	68,244
ცაგერის "კომუნალური მომსახურება"	117	420,060
ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა	41	192,360
ცაგერის სამხატვრო სკოლა	18	47,400
ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	180	508,200
ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის	42	112,800



ცენტრი		
ცაგერის მთავარი ბიბლიოთეკა	77	124,320
ცაგერის კულტურის ცენტრი	79	239,790
ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი	14	53,400
ახალგაზრდული, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი	59	178,320
საფეხბურთო კლუბი ხვამლი	18	71,520
ფრენბურთის კლუბი ცაგერი	11	85,680
ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი	29	83,880
ცაგერის ისტორიული მუზეუმი	47	151,680
<b>ჯამი:</b>	<b>963</b>	<b>2,910,834</b>

დასაქმებულთა რაოდენობის თვალსაზრისით, ცალსახად გამოკვეთილია ქუთაისის მუნიციპალიტეტიც, რომელიც 2019-2020 წლებში თითქმის 4,000 პირს ასაქმებდა მის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში. ამ თვალსაზრისით ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება რუსთავის მაჩვენებელს, ხოლო სამჯერ აღემატება გორის მაჩვენებელს. ორი წლის მონაცემების შედარება გართულებულია იმ ფაქტით, რომ მუნიციპალიტეტების დიდმა ნაწილმა მონაცემები გასცა არასრულად. აქედან გამომდინარე, ამ სიაში არ ფიგურირებს, მაგალითად, ბათუმის მუნიციპალიტეტი.



## მუნიციპალური ა(ა)იპ-ების სახელფასო ფონდები (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა)

39 მუნიციპალიტეტის<sup>2</sup> 2018-2019 წლის მონაცემთა ანალიზის შედეგად, სახეზე გვაქვს სახელფასო ფონდების თითქმის 14%-იანი ზრდა. კერძოდ 138,977,067 ლარიდან 161,205,692 ლარამდე.


მაგალითად, 2,069,313 ლარიდან 3,538,600 ლარამდე გაიზარდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სახელფასო ფონდი. მნიშვნელოვნად გაზრდილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ოთხივე ა(ა)იპ-ის სახელფასო ფონდი. მათ შორის გამოკვეთილია ა(ა)იპ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრი, რომლის შრომის ანაზღაურების ფონდი 2018 წელს 151,520 ლარისგან შედგებოდა, ხოლო 2019-ში 755,945 ლარს მიაღწია. საჩხერის მუნიციპალიტეტში, ა(ა)იპ ზურმუხტის შრომის ანაზღაურების ფონდი 82,728 ლარიდან 484,068 ლარამდე გაიზარდა. ქარელის მუნიციპალიტეტის ხუთივე ა(ა)იპ-ის შრომის ანაზღაურების ფონდი საშუალოდ 30%-ით გაიზარდა, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 26%-ით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მატება ძირითადად განპირობებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირის და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების თითქმის გასამმაგებელი შრომის ანაზღაურების ფონდებით.

2020 წელს, 29 მუნიციპალიტეტის<sup>3</sup> ა(ა)იპ-ების სახელფასო ფონდებზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ზრდის ტენდენცია კვლავ 14%-ით გრძელდება, 2019 წელს 106,013,842 ლარიდან 123,449,331 ლარამდე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა რუსთავის, ფოთის და ახალციხის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სამი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების სახელფასო ფონდები ჯამურად 12,396,841 ლარით გაიზარდა. ხოლო შემცირებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 6 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ხელვაჩაურსა და ზესტაფონში.

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში შრომით ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯის ზრდა განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან საჯარო მოხელეთა დანიშვნის წესისგან განსხვავებით, ა(ა)იპებში დასაქმება არ ითვალისწინებს კონკურსის გამოცხადებას. ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი საკადრო გადაწყვეტილებებს პრაქტიკულად ერთპიროვნულად იღებს, ხოლო ხელმძღვანელი ინიშნება ასევე ერთპიროვნულად, მუნიციპალიტეტის მერის მიერ.

<sup>2</sup> მუნიციპალიტეტები რომლებმაც სრულად მოგვაწოდა 2018-2019 წლის სახელფასო ფონდებზე ინფორმაცია.

<sup>3</sup> მუნიციპალიტეტები რომლებმაც სრულად მოგვაწოდა 2019-2020 წლის სახელფასო ფონდებზე ინფორმაცია.



## თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები

2020 წლის მდგომარეობით, თბილისში 71 ა(ა)იპ-ი ფუნქციონირებდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 34 მათგანი წარმოადგენს სახელოვნებო სკოლებს, რომლებიც თვით-დაფინანსებაზე იმყოფებიან, ხოლო 37 საბიუჯეტო დაფინანსებაზე იმყოფება.<sup>4</sup> მათ შორის ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს ყველაზე მსხვილ დაწესებულებას, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, ასევე ერთიანი სახელოფასო ფონდის თვალსაზრისით. სააგენტოში გვხვდება 245 სამტატო ერთეული და ხელშეკრულებით დასაქმებული 58 პირი. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ყველაზე მასშტაბური ზრდა ფიქსირდება ეროვნული ბოტანიკური ბაღის შემთხვევაში, სადაც 2019 წლის ხარჯი 1,993,724 ლარს შეადგენდა, ხოლო 2020 წლისთვის 18%-ით გაიზარდა და 2,359,018 ლარს მიაღწია, თუმცა არ შეცვლილა დასაქმებულთა საერთო რაოდენობა. აღსანიშნავია რომ ანაზღაურების ზრდა ეროვნული ბოტანიკური ბაღის ყველა თანამშრომელს შეეხო, გარდა დირექტორისა.

<sup>4</sup> სრულად ან ნაწილობრივ - მაგალითად ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგების ანაზღაურების ნაწილი იფარება ორგანიზაციის საკუთარი სახსრებით (სწავლის გადასახადიდან შემოსული თანხით).

ცხრილში წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი 15 ყველაზე მსხვილი ა(ა)იპ-ი:

ა(ა)იპ	დასაქმებულთა რაოდენობა 2019	შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2019 (ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა 2020	შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2020 (ლარი)	საშუალო ანაზღაურება 2020 (ლარი)
მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო	304	4 618 895,25	303	4 642 678,69	1796
საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი	199	1 993 724,90	199	2 359 018,77	1099
თბილისის განვითარების ფონდი	63	2 252 097,38	71	2 260 023,32	2693
მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება	30	1 337 229,44	317	2 066 145,27	519
გლდანი ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი	230	1 308 203,97	244	282 958,97	782
საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო	63	592 536,06	58	592 849,27	2171
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	192	1 003 864,16	170	678 726,31	626
მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	186	1 506 385,92	177	1 336 336,13	582
ეროვნული სკრინინგ ცენტრი	69	2 010 016,31	70	1 696 647,06	1039
მუზეუმების გაერთიანება	81	651 123,00	65	667 375,01	870
პარასპორტის განვითარების ცენტრი	48	528 599,43	48	541 650,00	943
ბიგ ბენდი	35	465 512,50	35	473 870,00	1173
სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი	84	458 339,00	63	498 985,00	650
მუნიციპალური თავშესაფარი	32	503 945,20	32	495 802,17	1259
ჩემი ადვოკატი	24	452 393,71	22	447 924,31	1823

წყარო: შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები მოპოვებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

ცხრილი არ მოიცავს ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიას და ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიურ პარკს, ვინაიდან მუნიციპალიტეტმა არ მოგვაროდა მათი სამტატო ნუსხები. ასევე არ არის მოცემული ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი, და ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი,

ვინაიდან ამ იურიდიულ პირებს შრომის ანაზღაურებაზე ხარჯები არ გაუწევიათ, მათი ბიუჯეტი მიმართული იყო სხვადასხვა სახის სუბსიდიებზე.

ცხრილზე ასახული ა(ა)იპ-ებიდან შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯის შემცირება მხოლოდ 5-ში ფიქსირდება, მათ შორის თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის შემთხვევაშიც. თავშესაფრის ფუნქციას წარმოადგენს უსახლკარო მოქალაქეების საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა და მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება. 2020 წელს, უწყების მთლიანი ბიუჯეტი 1,140,671 ლარს შეადგენდა, რაც ჩამოუვარდება თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ საბიუჯეტო სახსრებს ისეთ ა(ა)იპ-ებზე, როგორცაა გლდანინაძალადევის სპორტული ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, ზოოლოგიური პარკი, მუზეუმების გაერთიანება, თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო და ეროვნული ბოტანიკური ბაღი.

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება 2018 წელს დაარსდა და 30 პირს ასაქმებდა. 2019 წელს მას შეუერთდა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა, რომელიც 300-მდე ბიბლიოთეკარს და სხვა პერსონალს ასაქმებდა.<sup>5</sup>

საშუალო ანაზღაურების თვალსაზრისით გამოირჩევა თბილისის განვითარების ფონდი (თვეში 2693 ლარი), რომელიც ასაქმებს ინჟინრებს, მშენებლებს და არქიტექტორებს, თუმცა ყველაზე მაღალანაზღაურებად თანამშრომლებს წარმოადგენენ დირექტორის 5 მოადგილე (თვეში 5,000 ლარი) და 3 მრჩვეელი (თვეში 3,500 ლარი).

საშუალო ანაზღაურების თვალსაზრისით ასევე გამოირჩევა ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო, რომელიც 2018 წელს შეიქმნა, ხოლო 2020 წელს 18 სამტატო ერთეულს და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ 40-მდე პირს მოიცავდა. სააგენტოს ძირითად ფუნქციას საზოგადოებასთან კომუნიკაცია წარმოადგენს და 24 პიარ მენეჯერს ასაქმებს, რომელთა ყოველთვიური ანაზღაურება 1,700-იდან 2,375 ლარამდე მერყეობს.

თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თანახმად, 2020 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იპ-ების საერთო ბიუჯეტი 263,296,876 ლარს შეადგენდა. მათ ფარგლებში დასაქმებული იყო 3,942 პირი, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე გაწეული საერთო ხარჯი 30 მილიონ ლარს აღწევდა.


## მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები

2020 წლის ფისკალური რისკების დოკუმენტის თანახმად,<sup>6</sup> 2019 წლის მდგომარეობით, ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში იმყოფებოდა 173 სახელმწიფო საწარმო. მათი ერთობლივი შემოსავალი კი 323 მილიონ ლარს აჭარბებდა. IDFI-მ მუნიციპალიტეტებისგან


<sup>5</sup> <https://netgazeti.ge/news/359278/>

<sup>6</sup> [https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-02-2021/FRS\\_2020\\_Nov.pdf](https://www.mof.ge/images/File/publications/2021/03-02-2021/FRS_2020_Nov.pdf)

გამოითხოვა მათ მიერ დაფუძნებული შპს-ების ნუსხა, თითოეულში დასაქმებულთა რაოდენობის და სახელფასო ფონდის მითითებით, ასევე იურიდიულ პირებში მოქმედი საშტატო ნუსხები. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილმა აღნიშნული მონაცემები არ მოგვარწოდა ან მოგვარწოდა არასრულად. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში განხილულია მხოლოდ 28 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 80-მდე შპს. მათი უმრავლესობა წარმოადგენს სპორტულ დაწესებულებებს და კლუბებს, ასევე წყალმომარაგების უზრუნველყოფაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და დასუფთავებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებებს. დამატებით გვხვდება სატრანსპორტო ორგანიზაციები და ბუქდვითი გამომცემლობები.




შპს-ების ყველაზე დიდი რაოდენობა ბათუმში გვხვდება. კერძოდ, მუნიციპალიტეტს დაფუძნებული აქვს 11 შპს, მათი უმრავლესობა სხვადასხვა სახეობის სპორტულ კლუბებს წარმოადგენს, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობასა და სახელფასო ფონდების შესახებ ინფორმაცია არ იქნა მოწოდებული. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული შპს-ების ნუსხაში გვხვდება შპს ქუთაისის ლიფტი, რომლის დანიშნულება ლიფტების ტექნიკური მომსახურება გახლავთ. ეს წარმოადგენს აღნიშნული ფუნქციების მქონე შპს-ს ერთადერთ მაგალითს შესწავლილი დაწესებულებების ფარგლებში. სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5 შპს-დან ყველა წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების დაწესებულებას, გარდა შპს საინფორმაციო ცენტრისა.



### მუნიციპალურ შპს-ებში დასაქმებულთა რაოდენობა (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა)


2020 წლის მონაცემები შპს-ებში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ მოგვანოდა მხოლოდ 24-მა მუნიციპალიტეტმა. მათ მიერ დაფუძნებულ 56 კომპანიაში საერთო ჯამში დასაქმებული იყო 1,918 ადამიანი.

სამტატო რაოდენობით ქუთაისის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა. 9 შპს-ში დასაქმებული 356 პირით, მათ შორის ყველაზე მსხვილი შპს ქუთაისის შერეული პოლიკლინიკა გახლავთ, რომელიც 127 პირს ასაქმებს. ამავე რაოდენობით ადამიანებს ასაქმებს შპს რუსთავის მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმოც. სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული მონაცემები იმდენად არასრულია, რომ ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია სამტატო რიცხოვნობის შედარებას წლების მიხედვით.



## მუნიციპალური შპს-ების სახელფასო ფონდები (თბილისის მუნიციპალიტეტის გარდა)

2019 წელს სახელფასო ფონდების მოცულობის თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლავ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გვხვდება. 8 შპს-ს სახელფასო ფონდი ჯამურად 3 მილიონ ლარს აღწევს, რაც რუსთავის მუნიციპალიტეტის 5 შპს-ს მაჩვენებელს მხოლოდ 125,000 ლარით ჩამოუვარდება. ასევე, აღსანიშნავია, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტის შპს-ების ჯამური სახელფასო ფონდი თითქმის ორჯერ აღემატება თელავის შპს-ების ჯამურ სახელფასო ფონდს, მაშინ როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა 30-ით ნაკლებია. ეს გარემოება მეტწილად განპირობებულია რუსთავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბებში გაცილებით უფრო მაღალი საშუალო ანაზღაურებით, ვიდრე სხვა ტიპის შპს-ებში. მკვეთრი ზრდა თვალსაჩინოა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაშიც, რაც განპირობა 2018 წელს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „მერცხალის“ შპს-დ გარდაქმნამ და მისი სახელფასო ფონდის 29,000-დან 135,000 ლარამდე გაზრდამ.



მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული კომპანიების უფრო დეტალური ანალიზის და მონიტორინგის განხორციელების გარკვეულ საშუალებას იძლევა საქვეუწყებო დაწესებულება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ შექმნილი ანგარიშგების პორტალი (reportal.ge), სადაც განთავსებულია საქართველოში არსებული სუბიექტების, მათ შორის, სახელმწიფო კომპანიების ფინანსური და მმართველობითი ანგარიშები.

IDFI-მ დამატებითი ინფორმაცია მოიძია კვლევის ფარგლებში შესწავლილი 10 ყველაზე მაღალი ბრუნვის მქონე შპს-ების შესახებ.<sup>7</sup> ქვემოთ მოცემულ ცხრილში გამოკვეთილია შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი, რომელმაც 2019 წელს 11,792,382 ლარის შემოსავალი მიიღო და 500-მდე

<sup>7</sup> მათ შორის ვისი მმართველობითი და ფინანსური ანგარიშებიც განთავსებულია აღნიშულ პორტალზე.



პირს ასაქმებდა, კომპანიამ ამავე წელს 8,423,363 ლარი მიიღო სუბსიდიის სახით ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, თუმცა წელი 713,925 ლარიანი ზარალით დაასრულა. 428,926 ლარიანი მოგება უფიქსირდება ბათუმის შპს სანდასუფთავებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ სრული შემოსავლის 97% მომდინარეობს მუნიციპალური სექტორისათვის გაწეული სანიტარული დასუფთავების მომსახურებიდან. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ებიდან ყველაზე მომგებიანი გახლავთ შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც მოიცავს ბათუმის დელფინარიუმს. შემოსავლის მთავარ წყაროს კი ბილეთების რეალიზაცია წარმოადგენს. 2019 წელს ცენტრმა 4 მილიონამდე ლარის შემოსავალი მიიღო და საოპერაციო ხარჯების დაფარვის შემდგომ 890,088 ლარის მოგებაზე გავიდა. ასევე, მოგებაზე გავიდა შპს თელავის მუნიციპალიტეტის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც 114 მდე პირს ასაქმებდა და 1,761,402 ლარის ბრუნვა ჰქონდა.

ცხრილზე ასახულ ყველა დანარჩენ შპს-ს 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უარყოფითი ბალანსი დაუფიქსირდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანს მიღებული აქვს სხვადასხვა რაოდენობით სუბსიდიები შესაბამისი დამფუძნებელი მუნიციპალიტეტისგან.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2019	მუნიციპალიტეტი	მოგება /ზარალი 2019	მოგება/ზარალი 2018	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019	შრომის ანაზღაურების ხარჯი 2019	შრომის ანაზღაურების ხარჯი 2018	სულ შემოსავალი 2019
შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი	ბათუმი	-713,925	-3,431,479	500	5,666,111	4,018,459	11,792,382
შპს სანდასუფთავება	ბათუმი	428,926	1,623,792		7,623,279	6,139,171	10,632,221
შპს შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	ბათუმი	890,088	537,101	95	1,896,328	1,816,793	4,055,923
შპს მარნეულის სოფწყალი	მარნეული	-118,681	-63,251	136	798,146	449,372	2,133,558
შპს თელავის მუნიციპალიტეტის ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი	თელავი	481,272	308,957	114	825,842		1,761,402
შპს მცხეთის სოფწყალი	მცხეთა	-141,307	127,355	93	537,048	492,975	891,850
შპს საჩხერის წყალკანალი	საჩხერე	-293,356	-509,725	83	333,562	294,394	770,389
შპს სატისი	ოზურგეთი	0		41	245,501		484,600
შპს პარკინგსერვისი	ქუთაისი	-424,391	-879,778	37	344,667	386,895	455,322
შპს რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი	ქუთაისი	-372,962	-288,795	23	137,410	177,866	326,571

წყარო: [reportal.ge](http://reportal.ge)

2019 წელს, ცხრილზე ასახული მუნიციპალური საწარმოების მიერ შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 18,284,225 ლარს შეადგენდა. 2018 წელთან მიმართებით, ეს ხარჯი საგრძნობლად გაზრდილია თითქმის ყველა ნახსენებ შპს-ში. ასევე აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა წაგებაზე მუშაობს და მუნიციპალური ბიუჯეტიდან სუბსიდირდება.

## თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ები

თბილისის მუნიციპალიტეტმა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ამ პუნქტს არასრულად უპასუხა და მათ მიერ დაარსებულ მხოლოდ 3 შპს-ს შესახებ გასცა ინფორმაცია. თუმცა, თბილისის მერიის ვებგვერდზე მოცემულ ნუსხაში (რომელიც შესაძლოა ასევე არასრული იყოს) გვხვდება 17 შპს.

შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი თბილისის მერიაა, ასაქმებს 6330 პირს. ასევე, აღსანიშნავია, სატრანსპორტო კომპანიის სახელფასო ფონდი, რომელიც 115 მილიონ ლარს აჭარბებს (ყოველთვიური ხელფასი ერთეულ თანამშრომელზე საშუალოდ 1,520 ლარი).

შპს ეკოსერვის ჯგუფი პასუხისმგებელია დედაქალაქის გამწვანებაზე და მწვანე ზონების მოვლა-პატრონობაზე. 2020 წლის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებული იყო 667 პირი, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯმა თითქმის 7 მილიონ ლარს მიაღწია.

და ბოლოს, შპს ჰერმესი წარმოადგენს სარიტუალო მომსახურების დაწესებულებას, რომელიც 276 პირს ასაქმებს, ხოლო სახელფასო ფონდი 2.2 მილიონით განესაზღვრება.

თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან ერთად, IDFI-მ დამატებით შეისწავლა [reportal.ge](http://reportal.ge)-ზე განთავსებული 2019 წლის ფინანსური და მმართველობითი ანგარიშები. **მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ასახული 17 შპს-დან, პორტალზე მხოლოდ 5-ის ანგარიშებია ხელმისაწვდომი.**

ანგარიშებიდან ირკვევა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შემოსავალი 2019 წელს 152 მილიონ ლარს აღემატებოდა. ასევე ცნობილია შემოსავლის სამი ძირითადი წყარო: მეტროდან - 67,851,000 ლარი, ავტობუსებიდან - 66,802,000 ლარი, ხოლო საბაგირო ხაზებიდან თითქმის 5 მილიონი ლარი. მიუხედავად ამისა, კომპანიამ 71 მილიონი ლარის ზარალი ნახა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს დაახლოებით 15 მილიონი ლარით აღემატება.

თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფო საწარმოებში ზომით ასევე გამოირჩევა შპს თბილისერვის ჯგუფი, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თბილისის მასშტაბით დასუფთავების საკითხების მოწესრიგება-ხელშეწყობა და სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობა. კომპანია 2019 წელს 4,939 პირს ასაქმებდა, მისი ბრუნვა კი 86 მილიონ ლარს აჭარბებდა. პორტალზე განთავსებული ანგარიშებიდან ასევე ირკვევა, რომ კომპანიის თანამშრომლების ანაზღაურებაზე 56,561,253 ლარი დაიხარჯა, ხოლო მისი მენეჯმენტის სახელფასო ფონდი 360,362 ლარს შეადგენდა.

ეკოსერვის ჯგუფი შემთხვევაში ირკვევა, რომ 2019 წლის მონაცემებით, კომპანია თითქმის ორჯერ ნაკლებ ადამიანს ასაქმებდა, ვიდრე 2020 წლის მდგომარეობით. შესაბამისად, გაზრდილია შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯიც, დაახლოებით 2.5 მილიონი ლარით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2019	წმინდა მოგება/ზარალი 2019	წმინდა მოგება/ზარალი 2018	დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019	შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2019	სულ შემოსავალი 2019
შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია	-71,293,000	-55,786,000	6,284	118,983,000	152,874,000
შპს თბილისერვის ჯგუფი	-15,112,534	-71,269,329	4,939	56,561,253	86,418,510
შპს ეკოსერვის ჯგუფი	-5,903,384	-4,450,114	366	4,686,385	1,645,576
შპს თბილისის 25-ე მორბილთა პოლიკლინიკა	-3,477			237,320	289,528
შპს ვარდების რევოლუციის პარკი	-180,293	-180,022	25	153,171	152,583

წყარო: [reportal.ge](http://reportal.ge)

## მუნიციპალიტეტების ა(ა)იპ-ების და შპს-ების სამტატო ნუსხების ანალიზი


IDFI-იმ მუნიციპალიტეტებისაგან გამოითხოვა მათ მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში არსებული სამტატო ნუსხები, 2020 წლის მდგომარეობით. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის ადრესატთა ნაწილმა, მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა ან არასრული მონაცემები მოგვარწოდა. შესაბამისად, კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია 35 მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 380 მდე ა(ა)იპ-ი და 33 შპს, რაც ჯამში 31,000-ზე მეტ სამტატო ერთეულს მოიცავს.

თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, ამა თუ იმ ფორმით ფუნქციონირებს ბაგა-ბაღების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება. ძირითადად ისინი გვხვდება მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებული ა(ა)იპ-ების სახით. დასაქმებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა გამოიკვეთა ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში, რომელიც 1,725 პირს ასაქმებს. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება რუსთავის საბავშვო ბაღების გაერთიანების და გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მაჩვენებლებს. აღნიშნული სხვაობა საკმაოდ უჩვეულოა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამ სამ მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა რაოდენობა დაახლოებით თანაბარია.<sup>8</sup>

თბილისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის პოლიტიკის განხორციელებას, მათი საქმიანობის მონიტორინგს და სხვა. სააგენტოს ბიუჯეტი 2020 წელს 134 მილიონ ლარს შეადგენდა, საიდანაც 122,767,496 ლარი გადანაწილდა 185 საბავშვო ბაღზე სუბსიდიების სახით. საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სამტატო ნუსხა (60 მდე თანამშრომელი), მისი სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, არ აერთიანებს თბილისის ბაგა-ბაღებში დასაქმებული თანამშრომლების მაჩვენებლებს. შესაბამისად, თბილისის ბაგა-ბაღებში დასაქმებულთა


<sup>8</sup> საქსტატის 2020 წლის მონაცემებით ქუთაისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 135,000-ს შეადგენდა ხოლო რუსთავის 128,000-ს.

შესახებ სრულყოფილი მონაცემები IDFI-სთვის უცნობია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით, თბილისის საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებულია 5,078 მხოლოდ აღზრდელი/თანამშრომელი.




მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ასევე ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრები, რომლებიც ძირითადად ასაქმებენ ეპიდემიოლოგებს, ენტომოლოგებს, პარაზიტოლოგებს, იმუნოლოგებს და სხვა ზოგად სამედიცინო პერსონალს. აღნიშნულ ა(ა)იპ-ებში ყველაზე ვრცელი სამტატო ნუსხა რუსთავის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრში გვხვდება, რომელიც 58 პირს ასაქმებს. ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანი შტატი ამბროლაურის ერთიან ადგილობრივ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრში ფიქსირდება, რომელიც მხოლოდ 5 თანამშრომელს ითვლის.

### დასაქმებულთა რაოდენობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრებში




მუნიციპალურ ბიბლიოთეკებზე დაკვირვებით კვლავ თვალსაჩინოა რუსთავისა და ქუთაისის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობასა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობებს შორის არსებული შეუსაბამობა.

### დასაქმებულთა რაოდენობა მუნიციპალური ბიბლიოთეკების გაერთიანებებში



მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებულ ა(ა)იპ-ების ნუსხაში მრავლად გვხვდება სხვადასხვა სახეობის სპორტული კლუბებიც. დასაქმებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა ფიქსირდება ხობის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთში,“ სამტრედიის საჭიდაო კლუბ „ფალავანში“ და აბაშის საფეხბურთო კლუბ „ზანაში“. სამტრედიის მუნიციპალიტეტში დამატებით ფუნქციონირებს ხელბურთელთა კლუბი და საფრენბურთო კლუბი, ჯამში 59 დასაქმებული. წყალტუბოს შემთხვევაში სახეზე გვაქვს სპორტული კლუბების გაერთიანება, რომელიც მრავალ სახეობას ფარავს.

## დასაქმებულთა რაოდენობა მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში



ბოლო წლებში, საჯარო სექტორში განხორციელებული რეფორმების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სამართლიანი და დაბალანსებული ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბება. თუმცა, დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპების მაგალითზე, თვალსაჩინოა რამდენიმე პრობლემური ტენდენცია. კერძოდ, იდენტურ შტატებზე გათვალისწინებული ანაზღაურების ვრცელი დიაპაზონი, რაც ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მიანიშნებდეს ანაზღაურების ხარჯზე შტატების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდაზე.

შესწავლილი ა(ა)იპ-ებიდან 83-ში დასაქმებულია ერთი ან მეტი იურისტი, ხოლო მათი ანაზღაურება 250 ლარიდან 2,400 ლარამდე მერყეობს. მრავლად გვხვდება უფროსი იურისტის, მთავარი იურისტის ან წამყვანი იურისტის პოზიციებიც, თუმცა მათი ხელფასები ხშირად არა-თანმიმდევრულია, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა იურისტზე დაბალიც იყოს. აღსანიშნავია, რომ 1100 ლარზე მაღალი ხელფასის ყველა შემთხვევა გვხვდება თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში.


ანალოგიური ტენდენციას ვაწყდებით ბუღალტრების შემთხვევაშიც. შესწავლილი 427 ბუღალტრის ანაზღაურება 200-დან 2400 ლარამდე მერყეობს, ცალკეულ ა(ა)იპ-ებში გვხვდება „მთავარი ბუღალტრის პოზიცია,“ თუმცა ეს ყოველთვის არ განაპირობებს უფრო მაღალ ხელფასს.

შესწავლილ ა(ა)იპ-ებში გვხვდება 198 საქმის მწარმოებელი, ხოლო მათი ყოველთვიური ანაზღაურება 120 ლარიდან 1,600 ლარამდე მერყეობს. და ბოლო თანამდებობა, რომელიც

ხშირად გვხვდება ა(ა)იპ-ების ადმინისტრაციაში არის სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტი. ჯამში 174 პირი, მათი ყოველთვიური სარგო კი 240-იდან 1,900 ლარამდე მერყეობს.


რაც შეეხება სხვა სტანდარტულ პოზიციებს, შესწავლილ ა(ა)იპ-ებში გამოყოფილია დამლაგებლის 1,222 შტატი (საშუალოდ 3-4 დამლაგებელი თითოეულ უწყებაში), ანაზღაურება კი 40-დან 950 ლარამდე მერყეობს. მძღოლის 387 შტატი, მათი ანაზღაურება 160-დან 1,100 ლარამდე მერყეობს. ამ დიაპაზონის ზედა მონაკვეთში მეტწილად ვაწყდებით სპეციალიზებული ტექნიკის (ექსკავატორი, ტრაქტორი, გრეიდერი) მძღოლებს. და ბოლოს სამეურნეო საკითხებზე პასუხისმგებელი პირის, ანუ ეგრეთ წოდებული მნეს პოზიციაზე შესწავლილი ა(ა)იპ-ებიდან დასაქმებულია 358 პირი, მათი ანაზღაურება კი 125-იდან 680 ლარამდე მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ იურისტების ანალოგიურად, ყველაზე მაღალანაზღაურებადი ბუღალტრები, საქმისმწარმოებლები და შესყიდვების სპეციალისტები ძირითადად თბილისის ა(ა)იპ-ებში გვხვდებიან, სადაც მათი საშუალო ანაზღაურება დაახლოებით ორჯერ აღემატება ნებისმიერი სხვა მუნიციპალიტეტისას. აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება უწყების ხელმძღვანელებზეც. ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ 12 ყველაზე მაღალანაზღაურებადი დირექტორიდან, რომელთა ყოველთვიური სარგო 3,000-6,000 ლარამდე მერყეობს ყველა დასაქმებულია თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებში.



არათანმიმდევრული ანაზღაურების მაგალითები თვალსაჩინო ხდება მსგავსი ფუნქციების მქონე ა(ა)იპ-ების შედარების საფუძველზეც. მაგალითად რუსთავის საბავშვო ბაღების გაერთიანებასა და წალკის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში საშუალო ანაზღაურება ორჯერ აღემატება ნინოწმინდის ბაგა-ბაღში არსებულ ანაზღაურებას. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სამშატო ნუსხა ძირითადად შედგება აღმზრდელებისგან, მზარეულებისგან, დარაჯებისგან და მუსიკის მასწავლებლებისგან. კერძოდ, ანალიზმა მოიცვა 4,559 აღმზრდელი


და აღმზრდელის თანაშემწე, რომელთა ანაზღაურება 130 ლარიდან 700 ლარამდე მერყეობს; 1,017 მზარეული და მზარეულის თანაშემწე, მათი ანაზღაურება 100 ლარიდან 675-მდე მერყეობს; და 1,173 დარაჯი/მეუზოვე, 110 ლარიდან 700 ლარამდე ანაზღაურებით.



ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ ცენტრებში, ყველაზე მაღალანაზღაურებადი პერსონალი გვხვდება ყაზბეგში, ქუთაისსა და ამბროლაურში, სადაც საშუალო ანაზღაურება 700-800 ლარის მიდამოებში მერყეობს. ხოლო, ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ანაზღაურება ცაგერსა და ნინოწმინდაში ფიქსირდება, 220-240 ლარის მიდამოებში. აღსანიშნავია, რომ ამ ორი უკანასკნელი ა(ა)იპ-ის სამტატო ნუსხა უფრო ვრცელია, ვიდრე ქუთაისის, ამბროლაურის და ყაზბეგის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრებში, მიუხედავად გაცილებით უფრო მწირი მუნიციპალური მოსახლეობისა.




## საშუალო ანაზღაურება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრებში



ცაგერის მუნიციპალიტეტის ტენდენცია თვალსაჩინოა მუნიციპალური ბიბლიოთეკების გაერთიანებების მაგალითზეც, ვინაიდან უჩვეულოდ დაბალია საშუალო ანაზღაურება, ხოლო უჩვეულოდ დიდია დასაქმებულთა რაოდენობა, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაახლოებით 15-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე რუსთავის მუნიციპალიტეტისა.


## საშუალო ანაზღაურება მუნიციპალური ბიბლიოთეკების გაერთიანებებში



რაც შეეხება მუნიციპალიტეტების მიერ დაარსებულ სპორტულ კლუბებს, ყოველთვის საშუალო ანაზღაურების თვალსაზრისით შესწავლილი ა(ა)იპ-ებიდან გამოირჩევა „ფეხბურთის

კლუბი გორი“, სადაც საშუალო ხელფასი 950 ლარია რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნებისმიერ სხვა სპორტულ კლუბს რომელიც კვლევის ფარგლებში იქნა განხილული.

ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ მოიცავს როგორც კაცთა, ასევე ქალთა საფეხბურთო გუნდებს. აღსანიშნავია, რომ ქალთა გუნდის ფეხბურთელების ანაზღაურება ისევე როგორც მათი მწვრთნელის, თითქმის ოთხჯერ ჩამოუვარდება ამავე კლუბის წევრ მამაკაცი კოლეგების ანაზღაურებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტენდენცია გვხვდება კერძო სექტორში, სადაც ფეხბურთელების ანაზღაურება ნაწილობრივ განისაზღვრება მაყურებლის მოზიდვით გამომეშავებული მოგებით, ამგვარი დისბალანსის არსებობა საჭიროებს დამატებით დასაბუთებას სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ ისეთ ა(ა)იპ-ში, როგორიცაა ხობის მუნიციპალიტეტის კლუბი „კოლხეთი“.



## დასკვნა

2018-2020 წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში (ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში კვლავ სტაბილურად მზარდია დასაქმებულთა რაოდენობა და შესაბამისად, მათი ანაზღაურებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები.

იურიდიული პირების სამტატო ნუსხების ანალიზი აჩვენებს, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ანაზღაურების არაერთგვაროვანი პრაქტიკაა, რაც გამოიხატება ერთი და იგივე სამუშაო პოზიციაზე მნიშვნელოვნად განსხვავებული ანაზღაურების ოდენობით. განსაკუთრებით საყურადღებოა ცალკეული მუნიციპალიტეტების მაგალითები, სადაც საექვოდ მაღალია მოსახლეობის საჯარო ა(ა)იპ-ებში დასაქმების კოეფიციენტი და დაბალია საშუალო ანაზღაურება, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ადმინისტრაციული რესურსის მობილიზების მცდელობაზე.

მუნიციპალურ იურიდიულ პირებში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს შორის არსებული დისბალანსი განსაკუთრებით თვალშისაცემია თბილისის მუნიციპალიტეტსა და რეგიონებს შორის. ყველაზე მაღალანაზღაურებადი პოზიციები თბილისშია თავმოყრილი. ამასთან, მსგავს პოზიციებზე არსებულ ანაზღაურებებს შორის განსხვავება, ხშირ შემთხვევაში არაპროპორციულია, ზოგადად, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასებს შორის არსებულ განსხვავებებთან მიმართებით. შესაბამისად, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში არსებული სახელფასო პოლიტიკის პრაქტიკა ხელს უწყობს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას რეგიონებსა და დედაქალაქს შორის.

კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს, ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მათი დაქვემდებარებული იურიდიული პირების შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი. კერძოდ, მთელი რიგი მუნიციპალიტეტების მიერ არასრულყოფილად გაცემული მონაცემები, არაერთგვაროვანი აღრიცხვის მეთოდები და მონაცემების გაცემისთვის გამოყენებული ფორმატები (მწირია დამუშავებად ფორმატებში მიღებული დოკუმენტების წილი), მნიშვნელოვნად ართულებს სრულფასოვანი ანალიზის შესაძლებლობებს.

კვლევაში გამოვლენილი ფაქტორების გათვალისწინებით, IDFI მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია თითოეული მუნიციპალიტეტის მიმართებით გადაიხედოს მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არსებული საკადრო და სახელფასო პოლიტიკა და გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მოქნილი და ოპტიმალური ბიუროკრატიული აპარატის ფორმირების პროცესის დასაწყებად.

**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)**

 ბ. შავჩაიშვილი ქ.20, თბილისი 0108;  + 995 32 2 92 15 14

 [info@idfi.ge](mailto:info@idfi.ge)  [www.idfi.ge](http://www.idfi.ge)